№ 132 ივნისი 25, შაბათი 1888 ივნისი 25, შაბათი № 132


| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 70 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ბუხუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

**გაზეთი „ივერია“ პირველ იანვრიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მან.**

ტფილისი, 24 ივნისი

წარსულს წელს საერო განათლების სამინისტრომ დაადგინა, რომ გაუქმებულ იქმნას მოსამზადებელი კლასები გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში. თავის დროზე ამ განკარგულების შესახებ დიდი ლაპარაკი იყო მწერლობაში, საქმე ყოველის მხრით გასჩხრიკეს. ბევრი ითქვა როგორც იმის სასარგებლოდ, ისე წინააღმდეგაც. სხვა-და-სხვა საზოგადოებამ, ერობამ, ქალაქებმა თავიანთი აზრი წარუდგინეს მთავრობას, რომელმაც სამინისტროს განკარგულება განიხილა მწერლობისა და საზოგადოების აზრის მიხედვით. უმთავრესად ის აზრი იყო წარმოთქმული, რომ მოსამზადებელი კლასები მეტად საჭიროა, რომ იმათი გაუქმება სასურველი არ არისო. ამ აზრის დასამტკიცებლად შესაფერი და შესაწყნარებელი საბუთიც იყო მოხსენებული. ამიტომაც სამინისტროს განკარგულება მთავრობამ განიხილა კანონ-მდებლობითის წესით და რიგით და საჭიროდ იცნო ზოგი რამ ცვლილება შეეტანა სამინისტროს განკარგულებაში. სამინისტროს აზრით მოსამზადებელი კლასები სრულიად უნდა გაეუქმებინათ, ხოლო ეხლა, როგორც სჩანს „მართებლობის დებულებათა და განკარგულებათა კრებულიდგან“ («Собраніе узаконеній и распоряженій правительства»), დადგენილია, რომ სახელმწიფომ თავისის ხარჯით არ უნდა შეინახოს მოსამზადებელი კლასებიო. ეს განკარგულებაც არ შეეხება ყველა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებსა. იმ ადგილებში, სადაც მკვიდრნი რუსის ტომისანი არ არიან და რუსულს ენაზე არა ლაპარაკობენ, იქ სახელმწიფო თავის ხარჯით შეინახავს მოსამზადებელს კლასებს. შუაგულ რუსეთში მოსამზადებელ კლასების არსებობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ესაჭიროება საზოგადოებას ეს კლასები. თუ საჭიროება დიდი და ძლიერია, მაშინ სხვა-და-სხვა საზოგადო დაწესებულებათა უნდა გამოიღონ ფული მოსამზადებელ კლასების შესანახად, ვინიცობაა სწავლის ფული, რომელსაც შეგირდები იხდიან, საკმაო არ იქმნას კლასების გასაძლოლად. ამ ნაირად სადაც მოსამზადებელი კლასები საჭიროა მთავრობის აზრით, იქ თვით საზოგადოებამ უნდა იკისროს იმათი შენახვა; სადაც საჭირო არ არის, იქ სრულიად გაუქმებული იქნება. ხოლო იქ-კი, სადაც მკვიდრნი რუსულის ტომისანი არ არიან და რუსულს არა ლაპარაკობენ, იქ თვით სახელმწიფო კისრულობს ხარჯს.

როგორცა სჩანს, წინანდელი განკარგულება სამინისტროსი შესამჩნევად შეცვლილია. საზოგადოება, რომელიც ჰგრძნობს სწავლა-განათლების საჭიროებას, უეჭველია ხარჯსაც არ დაერიდება და მართებლობას შეუმსუბუქებს ხარჯსა და შრომას, და იმედიც არის, რომ საზოგადოება რაკი ხარჯს იკისრებს, საქმესაც უფრო ფხიზლად და გონივრულად მოეკიდება.

ჩვენში, როგორც მართებლობის განკარგულებიდგანა სჩანს, მოსამზადებელ კლასების შენახვას ისევ მთავრობა კისრულობს, რადგანაც აქაურნი მკვიდრნი უმეტეს ნაწილად არც რუსის ტომისანი არიან, არც რუსულს ლაპარაკობენ და არც საკმაოდ ბევრი სასწავლებლები აქვსთ...

ერთი სხვა ცვლილებაც შემოაქვს ახალს კანონს სწავლა-განათლების საქმეში. დღემდის მოსამზადებელ კლასებიდგან პირველს კლასში გადაჰყავდათ ყველა ყმაწვილები, რომლებიც ეგზამენს დაიჭერდნენ; ეხლა-კი ეგზამენი საკამათო (საკონკურსო) უნდა იყოს, რაიცა მეტად ძნელი იქნება ნორჩ ბავშვებისათვის. ამიერიდგან მხოლოდ იმ ყმაწვილს გადაიყვანენ, რომელიც საუკეთესოდ დაიჭერს ეგზამენს; სხვები-კი იძულებულნი იქმნებიან სასწავლებელი მიატოვონ. მაშასადამე, მოსამზადებელ კლასების შეგირდები და გარედგან მოყვანილები გათანაბრებულნი იქმნებიან თავიანთს უფლებაში.

რა მოუვათ იმ ყმაწვილებს, რომლებიც საკამათო ეგზამენს ვერ დაიჭერენ? მშობლებმა და ნათესავებმა ისინი ან სხვა სასწავლებელში უნდა გადაიყვანონ და ან სრულიად უნდა გამოასალმონ სწავლა-განათლებასა. რადგანაც ეს გარემოება სასურველი არ არის არც მშობლებისა და არც ყმაწვილებისათვის, ამიტომაც აუცილებელი იქმნება პირველ პარალელურ კლასების დაარსება. მეტი გზა არ არის, ამ კლასების შენახვა ისევ მშობლებმა და საზოგადოებათ უნდა იკისრონ. თუ ეს აზრი განხორციელებულ იქმნა, მაშინ საკამათო ეგზამენი მაინც და მაინც საძნელო და საფრთხო არ იქნება ყმაწვილებისათვის. ვინც საუკეთესოდ ვერ დაიჭერს ეგზამენს, ის შესაძლოა გადიყვანონ პარალელურს პირველს კლასში და ამ ნაირად იძულებული არ იქმნება სასწავლებელი მიატოვოს, ან სხვა რომელსამე სასწავლებელში გადავიდეს. ეს პარალელური კლასები იმდენად საჭიროა, რომ, ვგონებთ, საზოგადოება იმის ხარჯს არ შეუშინდება...

## ახალი ამბავი

*** აგერ ერთი თთვე იქნება, რაც ავჭალის ქუჩაზე, თითქმის ორის ვერსის სიგრძეზე, მოდის რაღაცა შავი წუმპე და სწამლავს მთელს ქუჩას.

კუკიაში, „მსროლელთა ბატალიონის“ იქით, ხევში, გამოდის წყალი, გზაზე ჰრეცხავს ნავთის ქარხნებისაგან დაღვრილს კუპრსა და ნავთის ლექს და მოდის ამ ქუჩაზე; ჩამოდის თითქმის ჩუღურეთის სასწორამდის. მთელი ქუჩა დაფოსოებულია. ეს წუმპე აქა-იქ გუბდება და შიგ ღორები ეყრებიან... ამ სიცხეების დროს მაინც უნდა მიაქციონ ყურადღება.

*** ვისაც-კი დილით გაუვლია ხიდის ქუჩაზე (ვარანცოვის ძეგლთან), არ შეიძლება არ შეენიშნოს სასტუმრო „როსია“-ში მოსამსახურეთა მეტად თავ-გასული ქცევა. დილაობით აივანსა ჰგვიან და ნაგავს გამვლელ-გამომვლელს აყრიან თავზედ. თუ გაბედა ვინმემ და შენიშვნა მისცა, ისე გახდიან, რომ მტკვარმაც ველარ გარეცხოს. გუშინწინაც ერთი მანდილოსანი მოდიოდა და ამ აივანის ქვეშ რომ მივიდა, ბიჭმა გადმოგავა და რაღაც ქაღალდის ნახევები და მტვერი თავზედ დააყარა. მანდილოსანი შესდგა, მიიხედ-მოიხედა პოლიციელის დასაძახად, მაგრამ პოლიციელი რადგან ვერ ნახა, დაიჭირა ფაიტონი, დაახურვინა და შინისაკენ გაეშურა. თუ პოლიციამ არ მიაქცია ყურადღება, მიმომსვლელნი თავს ვერ დაიფარვენ სასტუმროს მოსამსახურეთა თავ-გასულობისაგან.

*** ავჭალის ქუჩაზე, ნადიტას სახლებში (№ 1), მეწვრილმანის დუქანია. ეს დუქანი, რაც გაუღიათ იმას შემდეგ, არას დროს არ დაკეტილა, არც დღე და არც ღამე. ღამის ცხრა საათიდამ თავს იყრიან საეჭვო ყოფაქცევის ბიჭ-ბუჭები, ქალაღდსა თამაშობენ და ყოველ გვარ საძაგლობასა სჩადიან მცხოვრებთა მოურიდებლად. მკვიდრნი შემოგვჩივიან: იქამდის მოგვაბეზრეს თავი, რომ თუ ამ ცოტას ხანში პოლიციამ არ მიაქცია ყურადღება, იძულებულნი შევიქნებით გუბერნატორთან ვიჩივლოთო.

*** სოფ. მცხეთა: ამ თთვის ოცდა-ორს, ღამის პირველს საათზე, გაეტეხათ მცხეთაში ერთი სამიკიტნო, რომლიდგანაც გაეტანათ: 116 მან. ფულად, ერთი ხანჯალი, ვერცხლის საათი და ქამარი და ერთიც უნაგირი. პატრონს მალე გაევო და გამოსდგომოდა ქურდებს ცხენით; ორი ცხენოსანიც სხვა გაჰყოლოდა. მოსწევნიყვნენ გზაში და ავაზაკებს დაეწყოთ სროლა რევოლვერებისა, ასე რომ, როგორც ამბობდნენ, ათამდინ გვესროლესო, მაგრამ კაცები უვნებელად გადარჩენილიყვნენ დამხოლოდ ცხენები დაეჭრათ. იმავე ღამეს გამოუყვნეს მდევრები, რომლებმაც დილის ცხრა სათზედ დაიჭირეს ქურდი. ამ ქურდის სახე

## ფელეტონი

**ანტონია გეზარეცი**

მოთხრობა მექსიკელთა ცხოვრებიდამ

V *)

წვეულების ჟამიც დადგა, ცაზედ ახალს გაკაშკაშებულს მთვარესთან სულ რამდენიმე ვარსკვლავი მოსჩანს. ასამდე ქალ-ვაჟი კუდიანს-ქარსავით ვალსის ტრიალ'ში არიან დიდს დარბაზში, რომელიც წითელ შუშიან ლამპრებით არის განათებული. ძვირფასის ტანისამოსით ერთი-მეორის მჯობია, თითქმის ყველას შავს თმაში გაკეთებული აქვს ვარდები, მარგალიტები და ბრილიანტები. საცაა შუაღამე დადგება, მაგრამ მოთამაშენი არ იღლებიან, არ იქანცებიან. რა ჰაეროვანნი და მშვენიერნი არიან ეს ბანოვანნი ქალნი თავიანთს მშვენიერს მორთულობასა და სამკაულში! ყველანი როგორღაც შეცვლილან, ყველას ფერი უცვლიათ, ასე რომ მეც-კი, რომელიც იმათს შინაურულად ნახვას ჩვეული ვარ, ჩემს ავადმყოფებს ძლივსა ვცნობ. გულ და მკლავებ გადაღეღილნი ქალნი თითქმის ნახევრად გადაწოლილნი არიან ვაჟების მკლავზე; ხშირად თვალები ოდნავ მინაბული აქვსთ, თითქოს ტკბილადა სთვლემსთო, და ნახევრად ღია ბაგეთაგან მშვენიერი კბილები უჩანსთ. აქა-იქ, ფრინველის ფრთებსავით, ფარფატებს ცისფერი და მოოქროვებული მარაოები. მემუსიკეთა დასს წყნარად გააქვს ზუზუნი და უფრო ოხრავს, ვიდრე უკრავს; მანდოლინა ნაზს ხმებში გამოითქმის ჩუმი ჩივილი, ჩუმი საყვედური, თითქო შეყვარებულნი ჩურჩულებდნენო. ვუყურებ, ყურებით ვერ დავმსტკბარვარ და, — რადგან ყველა სიცოცხლე გადამდები ჭირია, — მზადა ვარ მეც იმათში გავერიო, მეც იმათ ავყვე. წარმომიდგენია, რა სასიამოვნო უნდა იყოს ადამიანისათვის, როცა ერთ-ერთის ამ ლამაზთაგანის ნაზს ტანზე მკლავები შემოხვეული გაქვს, მიდიხარ და თან მიგყავს, შენი ლოყა თითქმის იმის ლოყასა ხვდება, ყმაწვილის ქალის აჩქარებული სუნთქვა და ქაქანი გესმის. დიდი ხანია განვლო ჩემთვის იმ წლოვანებამ, როცა ადამიანი ამ გვარს გასართობს ეტანება; ამას გარდა ჯერ მაშინაც არ ვიცოდი თამაშობა და ეხლა ხომ გვიანღა იყო სწავლის დაწყება. ვკმაყოფილდებოდი იმით, რომ ვუყურებდი ახალგაზდათა თავის მოგიჟიანებას, და მიხაროდა, რომ სიბერემდის ცოლი არ შევირთე, როცა ვხედავდი ქმრებს, კედელთან აყუდებულებს, რომელთაც თავი ჩაექინდრათ და თავიანთს ცოლებს შეჰყურებდნენ. ცოლები-კი ამ დროს გარდახვეულნი იყვნენ ყმაწვილს კაცებთან და მიჰქროდნენ, აღარც თავი ახსოვდათ, აღარც ქმარი, აღარც ოჯახი. მე რომ დაცოლიანებულიყავ, ძნელად გავერეოდი ამისთანა გამრთობს ხალხში სადმე, ოტელო ვიქნებოდი და ცოლს შინიდგან გარეთ ფეხს არ გამოვადგმევინებდი.

ჩემს თვალ წინ მოთამაშე ქალ-ვაჟთა შორის მე განსაკუთრებულს ყურადღებას ანტონიას ვაქცევდი, როცა იგი რობერტთანა თამაშობდა. გუშინდლიდგან ყმაწვილი ქალი მარტო აღარ მენახა, რადგან საკუთარის ოთახიდგან სწორედ მაშინ გამოვიდა, როცა სტუმრებმა თავის მღერა დაიწყეს კიდეც. ანტონია ფერ-მიჰკრთალი იყო, დაღალულ-დაქანცული სახე ჰქონდა და თვალები უბრწყინავდა. მთელი სახლი სტუმრებით გაივსო. დიასახლისი ქალებში იყო გართული, რომელთაც დიდი გზა გამოევლოთ და ტანისამოსისა და მორთულობის სწორებაში იყვნენ. დონ კარლოსი მამებთანა და ქმრებთან ბაასობდა. მეც, ჩემის მხრივ, უსაქმოდ არ ვიყავი: ყველა სტუმარი, რომელიც-კი წინ შემხვდებოდა, სარგებლობდა დროთი და დამიწყებდა ხოლმე თავისს ეხლანდელსა და ან უკვე წარსულს სატკივარზე ბაასს. მეც იძულებული ვიყავი არა ერთისათვის გამესინჯა მაჯა და რჩევა და დარიგება მიმეცა. რჩევისათვის მომმართა განსაკუთრებით მამობრივმა ნაწილმა თავ-მოყრილ სტუმრებისამ. ქალები-კი თუ ავად გახდებიან, ან აიტკიებენ რასმე, როგორც გამოვცადე, უეჭველად წვეულებისა და ნადიმის მეორე დღეს დაემართებათ ხოლმე; იშვიათად თუ სწორედ წვეულების ღამეს ვინმემ რამე აიტკიოს.

ათი საათი შესრულდა და პირველი კადრილი დაიწყეს კიდეც, რომ სწორედ მაშინ დამანებეს თავი არა-მკითხე ავადმყოფებმა; მოვრჩი ექიმობას და მეც ჩვეულებრივ სტუმრად გარდავიქეც. პირველს კადრილში მონაწილეობა მიიღო დონ კარლოსმაც, გვერდში ამოიყენა სამოქალაქო პრეფექტის ცოლი, ხოლო vis-a-vis-ად ჰყავდა დონა ანტონია და სამხედრო პრეფექტი. ყმაწვილს ქალს ფერი მეტის-მეტად მიმკრთალი და სახე დაღონებული ჰქონდა, ეტყობოდა, თავს ძალას ატანდა, რომ სტუმრებთან ჩვეულებრივი გულისა და ხასიათის სიმხიარულე გამოეჩინა. რობერტიც დაღვრემილი იყო და დაქანცვა ემჩნეოდა. ცხრა საათიდგან თორმეტამდე მხოლოდ ერთხელ ითამაშა ანტონიასთან და ამიტომ მიკვირდა იმისი თავშეკავება, არ ვიცოდი, რომ კოტილიონის დროს თითქმის არ უნდა მოშორებოდა ყმაწვილს ქალსა.

ის იყო დამშვიდებასა და დარწმუნებას ვაპირობდი, იმედი მომეცა, რომ დონა ანტონიამ ალბად უარი სთქვა თავის განზრახვაზე, აღარ უნდა რობერტს თავისის მხრივაც თანაგრძნობა აცოდინოს-მეთქი და აი, ამ დროს შევნიშნე, რომ დონ კარლოსს თავისი ჩვეულებრივად უზრუნველი და

*) იხ. „ივერია“ №№ 121, 124, 125, 126, 128, 129 და 130.

ლი: კაზაია ადონიაა, რომელსაც აბრალებენ აგრეთვე ცხენის მოპარვას ამ რამდენისამე დღის წინად. ამ საქმის გამო მოვიდა მაზრის უფროსიც. ფული და სხვა ნივთები ჯერ არა სჩანს დაარც ქურდის ამხანაგი აღმოუჩენიათ; უნაგირი-კი იმ ღამესვე დაავდებინეს.

*** იმერეთიდამ გვატყობინებენ, რომ აქ ამ ბოლოს დროს ძრიელ გავრცელდა მოცვის ჩაი, ასე რომ თითქმის სოფლად ყველგან იმას ხმარობენო. გირვანქა მოცვის ჩაისა ღირს 15—20 კაპ. ეს გავრცელება კარგია, მაგრამ უფრო კარგი იქნებოდა, რომ ამ საქმეს ყურადღებას მიაქცევდეს რომელიმე მცოდნე კაცი, ქიმიკოსი და ამით ოფიციალურად გადასწყვეტავდნენ, თუ რამდენად მარგებელია ანუ მავნებელი მოცვის ჩაი ადამიანისათვის.

*** იქიდამვე გვატყობინებენ, რომ აქ წელს ძრიელ კარგი ამინდებია, ასე რომ სიმინდის მოსავალს კარგს მიელიანო. მართალია, შარშანდელს წამხდარ ვენახებს კარგად არ ასხია, მაგრამ იმის ნაცვლად ძლიერ კარგი ვაზი გაიზარდაო. ასეთი ვაზის სისრულე დიდი ხანია არ გვინახავსო.

*** სოფ. სვირი: აგერ წელიწადზე მეტია, რაც ჩვენს სოფელში რკინის გზის სადგური გამართა ახლად, მაგრამ დღემდის წამსვლელ-წამომსვლელნი ისევ ძველებურად იხდიან ბილეთების ფასსა, რადგანაც ამ სადგურის სახელობაზე ბილეთი ჯერ კიდევ არ გამოსულა. წლიდამ წლამდის ამ სადგურიდამ გავა 80 და ასი ათასი ფუთი საქონელი და ყოველთვის ფასს სხვა სადგურიდამ ახდევინებენ ხოლმე. ნუ თუ საზოგადოება რკინის გზისა საჭიროებს სოფლელების შეწყობას? ნუ თუ არ შეუძლიან ამ სადგურიდამაც ახდევინონ საქონლის წასაღები ფული? ამ სადგურიდამ რომ ფულს ახდევინებდნენ, მაშინ საქონლის რიცხვიც იმატებდა, იმიტომ-რომ ეხლა ურმით ან ცხენით წაღებას უფრო რჩეობენ სხვა მახლობელს სადგურზე, ვიდრე აქ მოტანას და ერთი-ორად ფულის გადახდასა. ეს გარემოება, რასაკვირველია, აბრკოლებს მსწრაფლს აღებ-მიცემობას, ვაჭრობას და ბოლოს რკინის გზაც ზარალშია, სოფლელებიცა და ქვეყანაცა. რკინის გზას რომ ორიოდე გროშის სიხარბე არა ჰქონდეს და ნაკლებს ახდევინებდეს ხალხს სვირის სადგურიდამ, თვითონაც მანათებს მოიგებს და ხალხსაც ბევრს შეჰმატებს.

*** გაზეთ „მეურნეს“ ოზურგეთიდგან სწერენ: იმ აბრეშუმის თესლიდგან, რომელიც კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისაგან დაურიგებიათ, ძალიან კარგი მოსავალი მიუღიათ—ერთი მისხალი თესლითგან 21—24 გირვანქა პარკიო. ამასთანავე კარგი მოსავალი მიუღიათ აგრეთვე ზაქათალაში.

*** ამავე გაზეთს ბორჩალოდგან ატყობინებენ, რომ მაისის წვიმებს ძალიან წაუხდენია ყანები. ქერს კიდევ არა უჭირს-რა, მაგრამ პური-კი ძალიან დააზარალა და მეტად ცოტა მოსავალი გვექნებაო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. სურები (გურია). „ივერიის“ მკითხველთ ეხსომებათ, რომ აღმოსავლეთისკენ მდებარე სურების საზოგადოება მეტის-მეტად დაუსჯაია ბუნებას ადგილმდებარეობის მხრივ და ჩაუმწყვდევია ორის უზარმაზარს მთის კალთებში, თითქო გამოსარჩობადო; მარცხნივ და მარჯვნივ აუყუდებია მაღალი და ფრიალო მთის უსწორ-მასწორო კედლები, ასე რომ ეს ქვეყანა წარმოადგენს ერთს ვიწროსა და დაკლაკნილს გრძელს არხს, რომლის პირი რამდენიც ქვევით მიდის, იმდენი ილევა და ვიწროვდება და ზემოდამ მოჩანს მარტო ზოლივით წვრილი ნაწილი ცისა. ამ არხის ძირში მდინარე სუფსის ორთავ ნაპირას მიკუნჭულან 300 კომლზედ მეტი მცხოვრები, რომელთ სახლები მერცხლის ბუდესავით ჩამოკიდებულია მთის კედლის კალთებზედ. ამ შენობებს ერთის მხრივ თავს გადმოსცქერის თვალ-აუწვდენელი ნათხარი მიწის კედლები და მეორეს მხრივ—გამონათხარი მიწისაგან კიდევ უფრო დაფერდებული ფლატე.

საკმარისია მოვაგონოთ მკითხველთ, რომ სურებში ყანები-კი არ ითესება, როგორც საზოგადოდ, არამედ ირგვება. სურებელ მიწის მუშას გაზაფხულზედ ჯიბეში ან კალთაში სიმინდის თესლი აქვს ჩაყრილი, შეუდგება მთის კედელს და ერთის თოხის ჩამოკვრით რომ ფეხის შესამაგრებელს გამოსთხრის, მეორეთი სთხრის მიწას და თავისის ხელით ჭვლეტს შიგ სიმინდის მარცვალს, რომ ქვემოთ დაქანებულ მიწას არ ჩამოჰყვეს თანა და მდინარე სუფსაში არ ჩაითესოს. ადვილი წარმოსადგენია ის სიცოდაობა და ჭაპან-წყვეტა, რაც აჩურებს ადგიათ ჭირნახულის შემოსვლის დროს. როგორც მთა ადგილი და მზის სხივებისათვის მიუდგომელი არის, სურები ცივაა: იცის დიდი თოვლი, ადრე ზამთრდება და გვიან გამოზაფხულდება ხოლმე. ამიტომ აქ ჭირნახულის „დამჭკნება“ ხშირია. თუ ყანები მარტში და აპრილში არ დაირგო, შემოდგომის ადრეული სიცივეები აღარ დაამწიფებს და მთელი საზოგადოება ულუკმა-პუროდ დარჩება.

ასეთი მწარე წელიწადი იყო სურებისათვის 1886 წელი, როცა ერთიან დამშეული საზოგადოება დ. ოზურგეთში მამასისხლად ყიდულობდა ვაჭრებისაგან სიმინდსა და ცხენებით აჭქონდა თავისს მთებში. მთელი სოფელი რომ მუდამ დღე ბარ-არინადით ხელში მუშაობდეს, იქ რა გზა უნდა იყოს! მართლაც, საკმარისია ერთი ღონიერი წვიმა, რომ გზის ნასახიც აღარ დაგვრჩეს ნიაღვარმა.

რადგან სურებზედ გვაქვს საუბარი, უკეთესი იქნება ბარემ ყველაფერი, რაც სახსენებელია დღეს ამ საზოგადოებაზედ, ერთადა გითხრათ და გავაგონოთ მკითხველს ერთის აქაურის საშინლად გამწვავებულ საქმის ვითარება. სწავლის სურვილი ჩვენშიაც არ დარჩენილა გაუღვიძებელი და აგერ სამი წელიწადია, რაც საზოგადოება სკოლის გამართვის თავდარიგს შეუდგა. ამ 40 საჟენის სიგრძისა და 4—5 საჟენის განის არხში არ აღმოჩნდა სასკოლო ადგილი და არა. მოგეხსენებათ, საზოგადოდ შემოღებულია სკოლის გამართვა სოფლის შუაგულ ადგილას, მაგრამ სურებს, როგორც პირდაპირს ხაზს, შუა გული და ცენტრი არა აქვს. ხაზის შუა ადგილი-კი ბ-ნის საერო სკოლების ინსპექტორის შემოწმებით და სოფლელების შეხედულობითაც უხერხულია. არა-ცენტრში—ქვემო სურებში აღმოჩნდა შესაფერი ადგილი და ბ-ნმა ინსპექტორმაც მოიწონა, მაგრამ ზემო სურები არ დასთანხმდა, არა იმიტომ რომ სკოლისათვის ის ადგილი ყველა სხვა ადგილებს არა სჯობდეს არამედ ბრმა ჯიუტობის გამო. „როგორ? მერე ქვემო სურებლებმა უნდა დაიტრაბახონ, რომ ჩვენსკენ გადავიტანეთ სკოლაო? არა, თუ გინდ ხვალვე დაიშალოს კლასი და დღეს-კი შუა ადგილას უნდა გავკეთდესო“. ამის შემდეგ კარგის ადგილის მფლობელნი დაეკითხნენ საერო სკოლების გამგეთ და იმათგან დაიმედებულნი, რომ ცალკე შეუძლიათ განაჩენი შეადგინონ და სკოლა გამართონ, იმ შემთხვევაშიაც-კი, თუ სხვები იმ ადგილზედ არ იყვნენ თანახმანი, აუშენეს სასკოლო შენობა, გააფართოვეს გზა და წარსულის წლის სექტემბერში განაჩენი წარადგინეს დასამტკიცებლად. ეჭვიც არა ჰქონდათ, თუ განაჩენის დამტკიცებას გადაეღობებოდა წინ რაიმე დაბრკოლება და მაშინვე მასწავლებელიც მოიწვიეს და სწავლება დააწყებინეს ყმაწვილებისა. მოწინააღმდეგედ დაუხვდნენ ამ ახალს სკოლას დანარჩენი მცხოვრებნი და დაუწყეს მტრობა, რომ როგორმე დაეკეტნათ და არა ერთხელ და ორხელ იჩივლეს ამაზედ მთავრობასთან.

ამ წელს მაინც კარგად სწარმოებდა სწავლის მხრივ. მოგროვდა 90 მდე ყმაწვილი და გვქონდა ორი დიდი განყოფილება, რომლებშიაც ყმაწვილები სწავლობდნენ როგორც წერა-კითხვას, ისე მუშაობას. სკოლას აქვს სააბრეშუმო ადგილი, მომზადებული ჭიაც და მეტად გულ-მოდგინედ და ხალისით სწავლობენ. ამას გარდა გამოყვანილია სამი მისხალი აბრეშუმის თესლი. მოგროვდა 40-ზედ მეტი დიდრონებიც, 17—40 წლისანი, რომლებიც ღამით დადიან და პატარებზედ უფრო უბეჯითებენ სწავლას. გასაკვირველია, რომ ამ გაცხარებულ მუშაობის დღეებში იმავე მეყაითობით დადიან, როგორც ზამთარში. ისწავლეს კარგი წერა-კითხვა და ანგარიში. გულ-მოდგინედ ყურს უგდებენ წიგნებისა და გაზეთების კითხვას. სიღარიბის გამო ამ მასწავლებლებმა ამ წლის გაზეთი ვერ გამოიწერეს. ეს „დამფრები“ (ასე ეძახიან ისინი თავისს თავს) ამაზედ უფრო შესწუხდნენ, მოაგროვეს გაზეთის 7 მანეთი, გაუგზავნეს რედაქციაში და ეხლა ყოველ საღამოს ისმენენ თითო ნომერს („ივერიის“ რედაქციას მადლობას უხდიან, რომ გაზეთი იაფად დაუთმო). რამდენჯერმე იქმნა წაკითხული იმათში შემდეგი წიგნები: „მშვიდი სიტყვა“, „კაცია-ადამიანი?!“ „სურათი ყაზახის ცხოვრებიდამ“, „დიმიტრი თავ-დადებული“ „თორნიკე ერისთავი“, „დიდმოურავიანი“ და სხვა პატარა წიგნები. საინტერესო-კი იყო, რომ მკითხველებისათვის გამოზიარებინა, თუ როგორ იმოქმედა ამ წიგნებმა იმათზედ, მაგრამ ამას თავს ვანებებ და მკითხველმაც მომიტევოს, რადგან ამისთვის დრო არ მაქვს. ძლიერ კი გაჭირდა ამ დიდებთან სახმარებლის წიგნების მოპოვება და ამიტომ მარტო „ბუნების კარით“ და „დედა-ენით“ იძენენ ცოდნას. კარგი იყო ჰქონოდათ „იგავ-არაკნი“, რ. ერისთავის მიერ ნათარგმნი, „ივერიის“ რედაქციის გამოცემული „დამკვირდი“, „ნაკვესი“ და „ფშაური ლექსები“.

ერთი სასიამოვნო ამბავი კიდევ უნდა დავურთო ამ სამწუხაროს. დიდად პატივცემულმა აქაურმა მღვდელმა მ. ღ. რამიშვილმა შეიგნო დიდი ეკონომიური ზარალი აქაურის ტირილისა და უქადაგებს თავისს მრევლს, რომ ხარჯი იქმნას შემოკლებული და დანარჩენი ფული სკოლისათვის იქმნას გადადებული.

აგრეთვე კეთილს გზას ადგას ახალგაზდა ნასწავლი მღვდელი მ. ს. ხუნდაძე ზენობანის შტატში. ინებოს უფალმა, სხვა გურულ მღვდლებსაც ასე ადრე აეხილოდეს თვალები და მიებაძონ ამ პატიოსანის კაცისთვის.

## უცხოეთი

საფრანგეთი. 14 ივნისს პალატამ დაიწყო განსჯა იმ კანონ-პროექტისა,

---

მხიარული სახე აღარა ჰქონდა. იგი აჩქარებითა და შეშფოთებით დადიოდა წინა და უკან, არავის ეკარებოდა, დაფიქრებული იყო და ანტონიასა და დონ რობერტოს თვალს არ აშორებდა. რა ექნა, ხომ არა შენიშნა-რა, ან ხომ არას მოჰკრა-რა ყური? რაღაც ამ გვარი ეჭვი ავიღე, ამიტომ შეუმჩნევლად მივუახლოვდი ანტონიას და ჩავჩურჩულე:

— გაფრთხილდი, ქმარი თვალს არ გაშორებს.

ანტონია უფრო მეტად გაფითრდა. ვინ იცის, იქნება დონ კარლოსი იმიტომაც იყო ავს გუნებაზედ, რომ ცოლის უფერულობასა ჰხედავდა და მიზეზი-კი ვერ ეგენა. ამას გარდა დონ კარლოსსაც ეტყობოდა, რომ დაღალული იყო, და ან როგორ შეიძლებოდა სხვაფრივ: განა მოხუცს, რაც უნდა თავ-შენახული ყოფილიყო, იაფად ჩაუვლიდა იმის დავიწყება, რომ ოცის წლის ჭაბუკობა დიდი ხანია გატარებული ჰქონდა?!

თორმეტს საათზე თამაში შესწყვიტეს და სტუმრები გავიდნენ მეორე დარბაზში, სადაც გრძლად უშველებელი სუფრა იყო გაშლილი. ჭიქებში დაიწყო ბრწყინვა ისპანიურმა და ფრანგულმა ღვინომ, განსაკუთრებით შამპანურმა. მექსიკელი ქალები მარტო წყალსა სმენ. თუმცა ასეა, მაინც ზრდილობა მოითხოვს, რომ ბაგენი დაისველონ ხოლმე იმ ჭიქაში, რომელსაც ყმაწვილი კაცები ჯერ აწვდიან და შემდეგ უკანვე სავსედ დაბრუნებულს თითონვე გამოსცლიან ხოლმე იმ ქალების სადღეგრძელოდ. ხოლო მექსიკელი ქალები ღვინოს თუ არა სმენ, წევით-კი თამბაქოს ძალიანა სწევენ და კიდეც ამიტომ თითქმის ყველამ გააბოლა მშვენიერი პაწაწა სიგარეტები; გაისმა დაუსრულებელი სიცილი და კასკასი. ჩემზედ-კი, დაჩვეულს მარტოდ-მარტო გამოკეტილს ოთახში მუშაობას, ეს ხმაურობა, სანთლებისა და ლამპრების სინათლე და ტანისამოსთა სხვადა-სხვაობა მათრობელასავით ჰმოქმედებდა. იმის ფიქრს შევუდექი კიდეც, რომ მოსასვენებლად გავძვრები სადმე, კოტილიონი დაიწყება თუ არა მეთქი. დავათვალიერე და აღმოჩნდა, რომ ჩემი ოთახი სავსე იყო შალებითა, ყელ-სახვევებით და წამოსასხამებით. ძალიანაც არ მეჭაშნიკებოდა გათენებამდე დაუძინებლობა და რომ ბინა მეშოვნა სადმე, მივმართე სასტუმრო ოთახს, რომელიც ღვთისმშობლის ხატის წინ ანთებულ ვერცხლის კანდელით იყო განათებული. ამ ოთახში არავინა სჩანდა და იქიდგან ბაქანზედ გავედი. იქაც არავინ იყო, ბნელოდა და შედარებით ხმაურობაც დიდი არ მოდიოდა.

საქანელა-სავარძლები, რომელიც ჩვეულებრივ ბაქანზე იდგა ხოლმე, სხვა ოთახებში გაეტანათ. დავაპირე კიდეც ერთ-ერთი სავარძელი უკანვე გამომეპარებინა, როდესაც ანტონიას მოძრავი აბრეშუმის ბადე დავინახე. ამაზედ კარგი დასასვენებელი არა იქნებოდა-რა-და, საცდელად წამოვწექი ბადეზედ და ქანაობა დავიწყე. ამ დროს მუსიკა მომესმა, ბადე უფრო რბილად მეჩვენა და გვერდზედ ნებიერად გადავტრიალდი. მაგრამ არა, ის მუსიკის ხმა ჯერ კიდევ კოტილიონი არ იყო, რადგან გულის ამაღულებელს ჰანგზედ უკრავდნენ. მივხვდი, რომ პედრო რუბიო Polouna-ს მღერას აპირებდა, იმ უბრალო სიყვარულის სიმღერისას, რომელსაც მექსიკანელი დედები ყმაწვილებსაც-კი უგალობენ. საერთო ქლავი-ქლუვი მისწყდა და მკაფიოდ გავიგონე მანდოლინების ხმასთან ერთად რუბიოს მგრგვინავი ხმაც. იმის პასუხად მომესმა ვნებით სავსე ქალის ხმა. ბოლოს ორივე ხმა შეერთდა ნაზად, ცრემლის მომგვრელ ჰარმონიად. შეყვარებულნი ერთმანეთს მწუხარებით ესალმებოდნენ. ამ მშვენიერმა სიმღერამ რობერტი და ანტონია გამახსენა. რა მოხდება ხვალ? შეასრულებს თავისს სიტყვას და წავა, თუ არა რობერტი? თუ ასე მოხდა, ანტონიას ერთად-ერთი მანუგეშებელი მე-ღა უნდა ვიყო. უეცრად მომესმა აბრეშუმის კაბის შრიალი და აჩქარებულის ფეხის ხმა, დავინახე ანტონია და გულმა საშინლად დამიწყო ძგერა, რადგან ყმაწვილს ქალს უკან რობერტი მოსდევდა. ანტონია ბაქანის შუა ადგილას მივიდა, პირი მიიბრუნა რობერტისაკენ და უთხრა:

— შესდექით.

ყმაწვილი კაცი დაემორჩილა, ხუთის ბიჯის მოშორებით შესდგა; ეტყობოდა, რომ რაღაცას ემუდარებოდა, რაღაცასა სთხოვდა.

— რა გინდათ, რად გამომეკიდეთ? —უთხრა კვლავ ანტონიამ აღელვებულის ხმით.

— უნდა გაგშორდეთ სამუდამოდ და წავიდე აქედგან, რომ თქვენ გაშორებით დაველიო ტანჯულ-გვემული სული. ამიტომ ნება მომეცით უკანასკნელად აღმოგითქვათ, თუ როგორ მიყვარხართ, როგორ გეთაყვანებით, — უპასუხა ვნებით ატაცებულმა ყმაწვილმა კაცმა.

ანტონია ჩუმად იყო. რუბიოს ნაზი და გრძნობაზედ მომყვანი სიმღერა კვლავ გაისმოდა, თითქო ის აძლევს ყმაწვილს კაცს ანტონიას მაგიერ პასუხსაო. მზად ვიყავ გადმოვხტარიყავ ბადიდგან და ყმაწვილს ქალთან მივსულიყავ, მაგრამ არ ვიცი-კი რადა-და, რაღაცა სიბრალული არ მიშვებდა და ადგილიდგან დაძვრის ნებას არ მაძლევდა. ერთს წუთს დამავიწყდა დონ კარლოსი და თვალ წინ მიდგა მხოლოდ ორი ახალგაზდა, ორი შეყვარებული არსება, ერთად შეყრილნი, რომ ერთმანეთს საუკუნოდ გამოსალმებოდნენ. ეს ერთი წუთი შეადგენდა მთელს იმათს ბედნიერებას და...

— მიყვარხართ! —იმეორებდა რობერტი და მუდარით მკლავებს ანტონიასკენ იწვდიდა.

— დაჩუმდით, —უპასუხა დაბალის ხმით ყმაწვილმა ქალმა.—წადით, წადით, მშვიდობით.

— გეფიცებით, რომ ჯერ თქვენსავით არავინა მყვარებია.

ყმაწვილმა ქალმა რამდენსამე ნაბიჯზე უკან დაიწია, თუმცა რობერტი არც-კი დაძრულა.

რომელიც ამბობს, რომ მექარხნეებმა და მრეწველებმა პასუხის-გება უნდა იტვირთონ, თუ ვინიცობაა იმათ მუშებს უბედურება რამ ეწვიათო. ოპორტუნისტებს არ მოსწონდათ ეს კანონ-პროექტი და უნდოდათ, გაეუქმებინათ როგორმე. დეპუტატი ფრედერიკ პასსი ამტკიცებდა, რომ ეგრეთი კანონი სრულიად უვარგისი კანონია, რადგან დედა-აზრი მაგ კანონისა ყალბიაო. ეგ კანონ-პროექტი სულ შესცვლის და ააყირამალავებს ეხლანდელს შეხედულებას კაცთა საურთიერთო დამოკიდებულებაზედ და დაჰბადავს ახალს, უცნაურს ურთიერთობასა. ეგ კანონი რომ მივიღოთ, მაშინ ყოველივე უბედურება მუშისა, საფათერაკო, თუ არა-საფათერაკო, ქარხნის პატრონს დაჰბრალდებაო. რაიცა შეეხება იმას, რომ მუშების სიცოცხლე დაზღვეულ იქმნას ხოლმე უბედურებათაგან, ეგ ხომ იმას ეგვანება, რომ ჯილდო ვაძლიოთ ზარემ უხერხულსა, მოუსაზრებელსა და გაუფრთხილებელს მუშასაო. კანონ-პროექტის დამცველნი და მხნე დამცველნი იყვნენ რიკარი, რომელმაც მოახსენა პალატას ამ ახალის წესის შემოღების გარემოება, და მთავარ-მინისტრი ფლოკე.

—ბულანჟეს თან-და-თან უფრო უცვდება ლილახანა და გუშინდელი იმისი თაყვანის-მცემელნიც-კი განზე გასდგომიან, ან მტკიცედ ეპირებიან, რომ განზე გაუდგნენ ამ თავ-მოწონებულს გმირს გენერალსა. ერთს იმის მომხრეს რადიკალს, სახელად მიშლენს, მხნედ მოუთხოვნია ბულანჟესაგან, რომ ცხადად სთქვი, გაქვს რამე გულში ცეზარული და დიქტატორული, თუ არაო. აი ამ დღეებში ჩვენის დასის კომიტეტის კრება იქნება, მე იქ წარმოვადგენ პროგრამას სხვა-და-სხვა ცვლილებათა შემოღებისას და თუ არ შეიწყნარეთ, მე ცეზარობის მომხრეებთან საერთო აღარა მექნება-რაო. მიშელენი ამბობს თურმე, რომ უკეთუ ბულანჟეს ჩვენი და ჩვენის ამხანაგების მომხრეობა უნდა, თავი დაანებოს ყველას, ვინც-კი მონარქიას ემხრობა ასე თუ ისეო.

**ინგლისი.** მორლეიმ აუხსნა პარლამენტს ის მიზეზები, რა მიზეზებითაც ითხოვა, მთავრობას გამოეუცხადოთ, რომ არ ვენდობით და არ მოგვწონს იმისი მოქმედებაო. მორლეიმა სთქვა: ირლანდიის საქმეთათვის დანიშნული სეკრეტარი (ბალფური) ამოდენა ხანია არას გვატყობინებს რიგიანად ირლანდიის საქმეებისას. რამდენჯერაცა ჰკითხავენ რასმე, ის ჩუმად არის, და ან უმნიშვნელო სიტყვებით მოიშორებს ხოლმე თავიდამ იმათ, ვინც ჰკითხავს რასმე. ეს იმასკი არ მოასწავებს, რომ ბალფურის რაიმე არა-სასურველი განზრახვანი აქვს გულში, არამედ იმას, რომ ბალფურმა არ იცის, თუ რა ამბავია ირლანდიაში... ეს ერთი მიზეზი. მეორე მიზეზი აი კიდევ რა არის: ის პატიოსანი კაცი, რომელსაც ჩვენ ყველანი პატივსა ვსცემთ მაინც, თუ ყველას არ მოგვწონს იმისი საპოლიტიკო რწმენანი, დააპატიმრეს 6 თთვის ვადით. ეს კაცი დილლონია. ამას შემდეგ მორლეიმ ასე განაგრძო:

„მთავარი სეკრეტარი იტყვის, რასაკვირველია, რომ ჩემი პოლიტიკა მარტო ძალ-დატანების პოლიტიკა არ არისო (ბალფური იძახის: სმენა იყოს, სმენა!) ბალფური ასე ჰფიქრობს, მაგრამ ერთის ამერიკელ გაზეთის კორრესპონდენტისათვის-კი ეთქვა, რომ მე საპოლიტიკო პროგრამის მოსაზრებაში ვარ გართულიო (დეპუტატები იცინიან) და სამი კანონ-პროექტი მაქვს დამზადებულიო. ეს კანონ-პროექტი უთუოდ შანონის და შაროვის ჭაობების ამოშრობას შეეხება. (მოისმის სიცილი). არა, მორლეის რომ ეთქვა, ატლანტის ოკეანეს დაშრობა მინდაო, ამერიკელებისათვის ამას უფრო დიდი ინტერესი ექმნებოდა, თუმცა-კი ისეთივე სისულელე ესა, როგორიც არის იმისი პოლიტიკა ირლანდიისა...

**გერმანია.** წინადაც ექიმის მაკენზის ლანძღვა მხოლოდ საბაბი იყო, თორემ ნამდვილად იმის ლანძღვით რეაქციონერები ლანძღავდნენ იმ ლიბერალობას, რომელსაც მისდევდა იმპერატორი ფრიდრიხი. „National Zeitung“-მა, ხშირად კონსერვატორების თანამგრძნობელმა, სთქვა ამას წინად, რომ მაკენზის დიდი თავ-ხედობა მოუვიდა, როცა გამოაცხადა: საპოლიტიკო მოსაზრებათა გამო მე არ მინდოდა მეთქვა, რომ იმპერატორს ფრიდრიხს კუ ჰქონდა ყელშიო. ეს შენიშვნა ზემოხსენებულის გაზეთისა დაიხვია ხელზე ბისმარკის ოფიციოზურმა გაზეთმა და დაეცა თავს ლიბერალებსაც, მაკენზისაც და იმპერატრიცა ვიქტორიასაც. ამ აზრით ბისმარკის გაზეთმა გამოიყენა შენიშვნა ერთის პოლშურის გაზეთისაც. აი რა ეწერა ამ პოლშურს გაზეთში:

„ჩვენ გვგონია, რომ ექიმი მაკენზი გერმანელ ექიმებზე გვიან არ მიხვდა, რა სენიცა ჰქონდა იმპერატორს ფრიდრიხს, მაგრამ მაკენზი მარტო ექიმი არ იყო. ის იყო ამასთანავე მახლობელი კაცი იმპერატორისა და იმპერატრიცისა და უნდა სცოდნოდა, რომ ყოველი უდროვო და უადგილო ლაპარაკი იმისი ადვილად გამოაცლიდა ხელიდამ ტახტს იმისს უავგუსტოესს ავადმყოფსაო. იმპერატორს ფრიდრიხს-კი უნდოდა როგორც საკუთრად თავისთვის, ისე თავისის მეუღლის სასარგებლოდ და აგრეთვე ზოგიერთის ზნეობრივის სურვილის გამო ასულიყო ტახტზედ და გამეფებულიყო ცოტას ხნით მაინც. მართლ მაკენზის წყალობით აუსრულდა ეს სურვილი განსვენებულს იმპერატორს ფრიდრიხსაო“.

აი ამაზე რა გესლით ლაპარაკობს თავადის ბისმარკის გაზეთი „Norddeutsche Algemeine Zeitung“-ი: „უპირველეს ყოვლისა ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ უკანასკნელი სიტყვები პოლშურის გაზეთის მტკნარი ტყუილია. იმპერატორს ფრიდრიხს რომ სცოდნოდა, უკურნებელის სენითა ვარ ავადაო, თავისს დღეში არ მოინდომებდა გამეფებას. ყველამ იცოდა, რომ იმპერატორის მდგომარეობა უიმედოა და ყველა ელოდა, რომ იმპერატორი ისე მოიქცევა, როგორც ჩააგონებს იმისი უანგარო აზრები და კეთილშობილური ხასიათიო. მაგრამ იმ მიზეზების გამო, რომელსაც ჩვენ ჩხრეკას ვერ დავუწყებთ და არც შეგვიძლიან, იმპერატორის ახლო მდგომთ მოინდომეს, რომ გაემეფოთ, რა ღონის-ძიებითაც-კი შესაძლებელი იქნებაო. ამ აზრით ეს ბატონები ატყუებდნენ იმპერატორს. მაკენზიზე ჩვენ იმასვე ვიტყვით, რასაც ინგლისში ამბობენ: მაკენზი საზოგადოების თვალში ან სულელის სახელს დაიმსახურებს, ან უნამუსო ადამიანისას. თავადვე უნდა დარჩეს ამ უკანასკნელს სახელსა. უახლესის ისტორიისათვის-კი კარგია, რომ ეხლავე გამოირკვა ყველაფერი; ახლა ჩვენ ვიცით, რომ ვიღაც ინგლისელმა უვარგისმა მკურნალმა, აზრებით რადიკალმა, გაჰბედა, იდუმალის მინისტრის როლის თამაშობა და იწყო და ხელმძღვანელობა ჰნებავდა გერმანიის ერისა“.

აი ასეთია ის მართლა უნამუსო და უსინდისო წერილი, რომელიც თითქმის სიტყვა-სიტყვით არის მოყვანილი. ამ წერილიდამ ცხადად სჩანს, როგორი დროშა და ზნეობა მეფობს ახლა გერმანიაში. მოხუცებულს ვილჰელმზე ამბობდნენ, რომ ამ იმპერატორმა 1861 წლიდამ ხელში აღარ აიღო და აღარ წაიკითხა გაზეთი „Kreuz Zeitung“-ი, მას შემდეგ, რაკი ამ გაზეთმა სთქვა, რომ დაგვირგვინება იმპერატორისა კენიგსბერგში ნუ მოხდებაო. საინტერესოა ვიცოდეთო, ამბობს „Рус. Вѣд.“-ი: ასევე მოიქცევა თუ არა ახალი იმპერატორი ვილჰელმ მეორე ბისმარკის გაზეთის შესახებ, მას შემდეგ, რაკი ამ გაზეთმა ნება მისცა თავისს თავს და ასე შეურაცხ ჰყო იმისი მშობელი დედაო?

## წვრილი ამბები

პარიჟის გაზეთს „Figaro“-ში დაბეჭდილია შენიშვნა ერთის ფრანგისა იმის შესახებ, თუ როგორ შეჰხვედრია გერმანიის აწ განსვენებულს იმპერატორს ფრიდრიხს 1881 წ., სამხრეთ გერმანიაში აღლუმების დროს. მაშინ მემკვიდრე პრინცი ფრიდრიხი ჩამომხდარა სწორე იმ მეფაბრიკის სახლში, სადაც ეს საფრანგეთის ჯარის ოფიცერი სცხოვრებდა თურმე, რომ არ შეჰხვედროდა ელზასის დამპყრობელს, ფრანგი სახლში გვიან დაბრუნდა თურმე. თავისდა საუბედუროდ, დაბრუნდა თუ არა სახლში ფრანგი, უთხრეს, რომ მემკვიდრე პრინცს თქვენი ნახვა უნდაო. დანარჩენს მოთხრობას ამ ამბისას თვით ზემოხსენებულ ფრანგის სიტყვებით აგწერთ. „ბაქანზედ წინა და უკან დადიოდა მაღალ-მაღალი კაცი, შავგვრემანი, თავში ოდნავ ჭაღარა შეპარვოდა, ქუდი არ ეხურა და პაწია სიგარეტს სწევდა. ბნელოდა და მე დიდხანს დავცქეროდი ბაქანზედ მოსიარულე კაცს:

„ოჰ, თქვენა ხართ!—წამოიძახა მემკვიდრე პრინცმა:—გავისეირნოთ და ვიბაასოთ. მე მითხრეს, ვითომ თქვენ გერმანიაში ჩვენის ლიტერატურის შესასწავლად მოსულიყავით. ძალიან კარგი და მშვენიერი აზრია, უკეთესს ვერას მოიგონებდით! ურჩიეთ თქვენს თანამემამულეთაც, რომ თქვენ მოჰბაძონ და ხელი მიჰყონ ამ ფრიად სასარგებლო საქმეს. ჩვენ საფრანგეთში სრულიად არ გვიცნობენ, არ იციან, ვინა ვართ, რასა ვფიქრობთ, რას ვახმარებთ ჩვენს ღონეს და შემძლებლობას. ბერლინი ჰნახეთ, თუ არა?“ როცა მე ვუპასუხე, ჰნახე და დიდხანს ვცხოვრებდი გერმანიის დედა-ქალაქში-მეთქი, პრინცი გამოცოცხლდა და სიამოვნებით წამოიძახა:

„ეხლა, რა გგონიათ, განა მართალნი არიან ისინი, რომელნიც ამბობენ, რომ ბერლინში ყაზარმების მეტი არა არის-რაო? ყოფილხართ, გინახავთ ჩვენი მუზეუმები? მოიარეთ წიგნთ-საცავებიც და აშკარად დარწმუნდებით, რა ბევრსა ჰკითხულობენ ჩვენში ფრანგულს წიგნებს. ჩვენ გერმანიაში ყველა გამოჩენილს საფრანგეთის მწერლებს კარგად ვიცნობთ. ფრანგები-კი არა სცდილობენ ჩვენის ჭკუისა და გონების ნაწარმოებების გაცნობას. აი, თუ გინდა მაგალითად აიღეთ გამბეტა. გამბეტას მე დიდს პატივსა ვსცემ, უპირველესად ყოვლისა იმიტომ-რომ ჭეშმარიტი მამულიშვილია და მამულის-მოყვარე. ხოლო მე მითხრეს, რომ მაგ გამოჩენილმა ფრანგმაც-კი არა იცის-რა გერმანიის ლიტერატურისაო. ეს ხომ უბედურებაა. თქვენი ახალგაზრდობა რამდენიც უფრო ბევ-

---

— მაშ რაკი ეგრეა, იცოდე, რომ... დაიწყო აკანკალებულმა ანტონიამ და ველარ გაათავა, ხმა ჩაუწყდა. ყმაწვილმა ქალმა ყელზე იტაცა ხელები, შემდეგ უეცრად წინ წაიწია, კბილები დააკრაჭუნა და ენებით ატაცებულის, ნატანჯ-ნაწვალების ხმით დაიძახა:

— წადი, წადი აქედგან! წადი ბედნიერი და ამასთანავე ულონო, უბედური, სასო-წარკვეთილი, ისეთი, როგორიც მე ვრჩები აქა. იცოდე, რომ მეც, გესმის, მეც მიყვარხარ და მეც გეთაყვანები.

რობერტმა მკლავი გაშალა და საჩქაროდ წინ წაიწია. ანტონია მოაჯირს მიუახლოვდა და მტკიცის ხმითა სთქვა:

— თუ კიდევ ერთს ნაბიჯს გადმოსდგამ, გადავარდები და კლდეზედ დავიმსხვრევ თავსა.

რობერტი შესდგა, ჰო-არაობაში იყო, ყოყმანობდა.

— წადით, დამანებეთ თავი,—ქშენით მიჰმართა კვლავ ყმაწვილმა ქალმა, ჩვენ ერთმანეთთან სათქმელი აღარა გვაქვს-რა.

— გეჯავრებით, გემუდარებით, კიდევ ერთხელ, ერთხელ განიმეორეთ, რომ თქვენც გიყვარვართ და არა გძულვართ კი, არ გეზიზღებით კი.

— ვერა, თქვენს დღეში ველარ გაიგონებთ მაგ სიტყვებს,—უპასუხა ანტონიამ.

იგი ეძგერა ყმაწვილს ქალსა და ხელები წაავლო, ანტონიამ დაიკივლა. მე ფეხზედ წამოვარდი და ქალთან მივედი. ჩემის ნახვით გაოცებულმა ყმაწვილმა კაცმა ჯერ უკან დაიწია, მაგრამ მასკვან გონს მოეგო და მუქარით წამოვიდა ჩემსკენ. გავარდა თოფი, რობერტი დატორტმანდა, ხელები გაშალა და ჩემს ფეხებთან დაეცა. დონ კარლოსიც გამოჩნდა, მივიდა თავის მსხვერპლთან, დაიხარა, გასინჯა, შემდეგ თოფი შორს გადისროლა და წამოიძახა:

— არ მიყვარს მტაცებელი ქორები.

თავს ზარ-დაცემული ანტონია მოაჯირისაკენ გადაიხარა; მე ხელები წავატანე, რომ არ გადავარდნილიყო, და ვიგრძენ, გული მისდიოდა. თუმცა ძალიან, მეტის-მეტად წრეს-გადასულად აღელვებული ვიყავ, მაინც გონება სრულიად არ დამიკარგავს. ამასობაში ხალხი მოცვივდა, სანთლები გამოიტანეს და დაიწყეს გამოკითხვა და გამოწვრილვა.

— მომეხმარენით - მეთქი,—მივუბრუნდი ერთს ჩემს ახლო მდგომარე ყმაწვილს კაცს. ორივემ ავწიეთ ანტონია და ოთახში შევიტანეთ.

— გამოგვყე,—უთხარ დონ კარლოსს, გვერდზედ რომ გავუარე. იმან უაზროდ, დაბნეულად მომაპყრო თვალები, მერე რობერტისაკენ მიიხედა და პირის დამანჭვითა და დაგრეხით განიმეორა:

— არა, არა, არ მიყვარს მტაცებელი ქორები.

— წამოდით-მეთქი,—დავუყვირე ხმამაღლა.

კარლოსი მაშინვე გამობრუნდა და გამოგვყვა.

დავაწვინე ანტონია სარეცელზედ, დიდის წვალებით გავისტუმრე ცნობის-მოყვარენი, გოგო მოვიხმარე და ყმაწვილის ქალის მობრუნებასა ვსცდილობდი. მაჯა რომ გავუშინჯე, ცოტაოდე დავმშვიდდი. ეს კარგი, მაგრამ რითი დაუბოლოვდება, რითი გაუთავდება საბრალოს წუთის წინად გამოვლილი ტანჯვა-მეთქი? ვეკითხებოდი ჩემს თავს. დონ კარლოსს ხელები თავზედ ეტაცნა და შემომცქეროდა.

— რა ექნა, რა ამბავიაო?—ამბობდა იგი.—საშინელს სიზმარსა ვხედავ? ანტონიაა დაჭრილი? გარდაცვალა? გამაღვიძეთ რაღა, ექიმო, გამაღვიძეთ, არ გებრალებით, არ...

უეცრად მივიდა კარლოსი ცოლის სარეცელთან, დაიხარა და ანტონიას შუბლს ტუჩებით შეეხო.

— აღარ იცოცხლებს? — დამეკითხა და თვალი დამაშტერა.

— საშიშო არა უჭირს-რა-მეთქი, —ვუპასუხე და თან მიხაროდა, რომ გონებაზედ მოვიდა და გამოერკვია:— ხოლო დიდი სიფრთხილე გვმართებს და ამას გარდა, როცა გამოიღვიძებს, თქვენ არ უნდა დაგენახოთ.

— განა სძინავს?

— ჰო, სძინავს, გრძნობის დაკარგვა და გულის წასვლა ძილად შეეცვალა. ეს იშვიათად მოხდება ხოლმე და... იქ იჯექით, ფარდას უკან, და თუ გამოიღვიძოს ჩემს აქ არ ყოფნაში, როზას მეტი ნურავინ ეჩვენება.

— თქვენ-კი წასვლას აპირებთ?

— არა, მაგრამ იქაც ხომ უნდა...

— ოჰ, მართლა, უბედური!—წამოიძახა საცოდავმა და პირზე ხელები მიიფარა...—მე მარტონი მეგონნენ. რომ მცოდნოდა, თუ თქვენც ამათთანა ხართ... რა ამბავი იყო, გამაგებინეთ, ექიმო, რად გაეწოდა ანტონიასაკენ ხელები, ან ამან რად დაიკივლა?

— იმიტომ-რომ... მერე, მერე აგიხსნით ყველაფერს.

ჩემი ძველი მეგობარი მორჩილს ბავშვსავით ჩემ მიერ ნაჩვენებს ალაგას დაჯდა უხმოდ და უსიტყვოდ.

— კაცის მკვლელი ვარ! მე, მე ვარ კაცის მკვლელი!—ჩურჩულებდა იგი და ორი კურცხალი დასცვივდა ლაწვებზედ.

გავაღე თუ არა კარები, საპოლიტიკო და სამხედრო პრეფექტებს შევეხალე. ველოდდი კიდეც, მართალი რომ ვსთქვა, იმ ვაჟბატონებს.

— რა ამბავი მოხდაო?—ერთ-ხმადა მკითხეს პრეფექტებმა.

— მერე გიამბობთ და დაწვრილებით აღგიწერთ-მეთქი,—ვუპასუხე და თან ლაპარაკი მიჭირდებოდა, პასუხად ვერა მომეხერხებინა-რა.—ჯერ ნება მომეცით გავსინჯო ჩემი თანამემამულე.

— ანტონია, ანტონია როგორღაა?—ჰყვიროდნენ ქალები.

— სძინავს და ამიტომა გთხოვთ ცოტა წყნარად ბრძანდებოდეთ, არ დააფეთიანოთ.

ორ-ანი

(დასასრული შემდეგ)

რი მოვა ჩვენსკენ, რაც უფრო ბევრს ილაპარაკებენ და იბაასებენ საფრანგეთში გერმანიაზედ, მით უფრო უკეთესია ორივე სახელმწიფოსათვის. ასე რომ იყოს, მაშინ ბევრი რამე გასწორდებოდა, ბევრს უსიამოვნებას ავიცილებდით. ეხლა-კი ღამე მშვიდობისა! დილაზედ ადრიანად უნდა წამოვიწიო და ალღუმებზედ წავიდე; კარგს იზამთ, რომ თქვენც ადრევე დაიძინოთ, იმიტომ-რომ დილის მილს ვერ შეისრულებთ, ცხენების ხმაურობა გამოგაღვიძებსთ“.

— ლონდონიდგანა სწერენ გაზ. „Temps“-ს, რომ აქაური საერო ზნეობის დამცველი და მფარველი საზოგადოება სთხოულობს: აკრძალულ უნდა იქმნას თარგმნა და ყიდვა საფრანგეთის რომანებისა, რადგან ამ რომანების ყიდვით ხალხი ზნეობრივად ირყვნებაო.

— პაპი ლეონ მე-XIII შეუკვეთნია რომის ერთის საუკეთესო ოქრომჭედლისათვის ბრილიანტებით შემკულ ოქროს ვარდის გაკეთება. პაპის განზრახვა აქვს ეს ვარდი საჩუქრად მიართვას ბრაზილიის პრინცესა იზაბელას. ვარდს მეორე მხრივ წარწერა ექნება, რომელშიაც უწმინდესი მამა მადლობას უძღვნის პრინცესას, რადგან მომხმარე და ჩემთან ერთად სცდილობდი ბრაზილიაში მონობის გაუქმებასაო. ეს საჩუქარი თვით პაპის წერილთან ერთად პრინცესა იზაბელას უნდა მიართვას მონსინიორ სპოლვერინიმ.

— რომიდგან ირლანდიის ეპისკოპოსებს მიუღიათ ქაღალდი, რომელშიაც გაკიცხულია ირლანდიელთა მოქმედება და საქციელი და ირლანდიის საერო საზოგადოებისა. ხოლო იქვე მიმატებულია, რომ ჩვენ ვკიცხავთ სახსარს სურვილის მიღწევისას და არა თვითონ სურვილსაო. პაპი სრულიად თანაუგრძნობს სამართლიანს მოთხოვნილებას ირლანდიელებისას, ხოლო იმას არის მოწადინებული, რომ ეს სურვილი ქრისტეს სარწმუნოების მიერ შეწყნარებულ საშუალებათა შემწეობით იქმნას განხორციელებულიო.

◆◆

# დეპეშა

23 ივნისი

ვარშავი. დიდმა მთავარმა ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ დაათვალიერა პეტერბურგის საგრენადერო პოლკი გერმანიის იმპერატორის სახელობისა და როგორც აღმოჩნდა, პოლკი ჩინებულს მდგომარეობაშია. ეს ამბავი ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ დეპეშით აცნობა გერმანიის იმპერატორს. პასუხად შემდეგი დეპეშა მოუვიდა: „თქვენმა დეპეშამ ძალიან გამახარა და მასიამოვნა; გთხოვთ გადასცეთ ჩემი უგულითადესი სალამი პოლკს, რომლის მუნდირს ამდენი ხანია ვატარებ. მე თავი მომწონს, რომ იმ პოლკის შეფად ვირიცხები. ვილჰელმი.“ დიდის მთავრის სურვილისამებრ გერმანიის იმპერატორის დეპეშა გაუგზავნეს პეტერბურგის საგრენადერო პოლკის კომანდირს, რომელმაც დეპეშის შინაარსი უნდა შეატყობინოს ჯარისკაცებს.

ბერლინი. ის ამბავი, რომ ვითომ ბელგრადის სინოდმა დაადგინა განაქორწინოს მეფე მილანი და დედოფალი ნატალიაო, როგორც ზოგიერთნი ამბობენ, ნამდვილი არა ყოფილა. იუწყებიან, ვითომ ნატალიას მიუწერია მიტროპოლიტ თეოდოსიასათვის, რომ არასოდეს და არას გზით არ დავსთანხმდები განქორწილებაზე, რომელსაც მეფე მილანი თხოულობსო.

## პეტერბურგის ბირჟა, 21 ივნისი

| | მყიდველნი. მან. კ. | გამყიდველნი. მან. კ. | გაყიდულნი. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 8 42 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | 168¼ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | 1 35 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 274 |
| —მეორისა | — „ | — „ | 248 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპჱ (1888) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.

თიბათვე 30 დღით არის.

25 დღე შაბათი. წამება თებრონიასი და დავითისა. კათოლ. ეპისკ. პროსპერისა. სომეხ. წმ. გრიგოლ განმანათლებელის ხაროდგან აღმოყვანება. მუსულმ. მე-27 რიცხვი თთვისა შევვალესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—32, ჩადის 7—37. მთვარე 29 დღისაა.

26 დღე კვირა. წინასწარმეტყ. დავითისა. კათოლ. იოანესი და პავლესი. სომეხ. ეჩმიაძინის საკათედრო ეკკლესიის დღესასწაული. მუსულ. მე-28 რიცხვი თთვისა შევვალესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—32, ჩადის 7—36. მთვარე 30 დღისაა და ამოდის 4—44.

27 დღე ორშაბათი. ღირსისა გრ. მთაწმინდელისა. კათოლ. ვლადისლავისა სომეხ. მოგონება იმ 14,000 ყმაწვილისა, რომელნიც ბეთლეემს იქმნენ აღმოხოცილ. მუსულ. მე-29 რიცხვი თთვისა შევვალესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—დაარსებულ იქმნა კავკასიაში რუსეთის საგეოგრაფიო საზოგადოების განყოფილება, 1850 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—34, ჩადის 7—36. დაბადება მთვარისა დილის 4 საათსა და 27 წუთზედ. მთვარე არ გამოჩნდება.

28 დღე სამშაბათი. წმ. იოანესი და კიროსისა. კათოლ. ლევან მე-II. სომეხ. წმ. ქალწ. ნინოსი და მარიამისა. მუსულ. 1-ლი რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 4—35, ჩადის 7—36. მთვარე 2 დღისაა.

29 დღე ოთხშაბათი. წმ. მოციქულთა პეტრესი და პავლესი. კათოლ. იგივე. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-2 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 4—35, ჩადის 7—35. მთვარე 3 დღისაა.

30 დღე ხუთშაბათი. კრება თორმეტთა მოციქულთა. კათოლ. ქალწ.-მოწ. ლიუციანესი. სომეხ. წამ. სააკისა და იოსებისა. მუსულ. მე-3 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ქუთაისში შემოღებულ იქმნა საქალაქო დებულება, 1875 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 4—36, ჩადის 7—35. მთვარე 4 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი
1 ივნისიდამ 1 ივლისამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | 3 | » |
| „ 2 „ | 2½ | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 3½ | „ |
| „ „ 3 „ | 3 | „ |
| ძვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა | 4 | „ |
| მე-3 — | „ | „ |
| ძროხის ხორცი | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა | 8 | „ |
| ღორის ხორცი | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით. პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, რაცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, ბანკის ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი | — | — | 8 | 49 | ბათუმი | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი | 0 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი | 12 | 08 | 12 | 11 | სამტრედია | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური | 11 | 02 | 1 | 17 | რიონი | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი | 7 | 08 | 7 | 10 | გომი | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო | 8 | 05 | 8 | 07 | გორი | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი | 11 | 13 | — | — | ტფილისი | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათზედ და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | საღამოთი | | | |
| ტფილისი | — | — | 3 | 21 | სურამი | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა | 4 | 19 | 4 | 25 | გომი | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი | 5 | 24 | 5 | 29 | გორი | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური | 8 | 54 | 8 | 38 | ავჭალა | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი | 8 | 50 | — | — | ტფილისი | 8 | 24 | — | — |

# განცხადებანი


ნამდვილი საუნჯეა

ყველასათვის განთქმული წიგნი

**თავის მოვლა**

თხზ. დ—რის რეტაუსი

რუსულად გამოცემული 3-ის სურათით

ფასი 1 მანათი.

წაიკითხოს ყველამ ეს წიგნი, ბევრი გადაურჩენია და დაუხსნია ამ წიგნს სიკვდილისაგან.

ვინც მანათს გაუგზავნის გამომცემელ რ. ფ. ბირეის წიგნის მაღაზიას ლეიპციგში, მიიღებს წიგნსა.

ადრესი: გერმანია, R. F. Bierey's Verlage-Magazin in Leipzig. (50—24)

ტფილისში

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიის წიგნთსაწყობში ისყიდება

მ. ჯანაშვილის მიერ

შედგენილი წიგნები:

ა) საქართველოს საეკკლესიო ისტორია (ფასი 45 კ.);

და ბ) საქართველოს მოკლე ისტორია (სამი აბაზი).

შენიშვნა. უკანასკნელი გამოცემა საერო განათლების სამინისტროსაგან „მოწონებულია იმ სასწავლებელთათვის, რომლებშიაც ასწავლიან ქართულს ენას“ (სამინ. მოხს., 24 ოქტომ. 1884 წ., № 6037).

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

**წიგნთ-საწყობში**

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან | „ | 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ | „ | 15 |
| სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა | » | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. | 1 | 50 |
| II ნაწ. | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ | „ | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა | „ | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. | 3 | „ |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებელისა (რუსულს ენაზე) | 3 | 50 |